

ქ. თბილისი

20 ოქტომბერი, 2020 წელი

სხდომას ესწრება სპორტული საბჭოს 4 წევრი:

დავით მჭედლიშვილი

ვაჟა ლეჟავა

მერაბ სალუქვაძე

ლაშა ჭანტურია

სპორტული საბჭოს სხდომის წევრის ვაჟა ლეჟავას წარდგინებით სპორტული საბჭოს სხდომის თავმჯდომარედ დასახელდა დავით მჭედლიშვილის კანდიდატურა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 4

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 0

(კენჭისყრაში მონაწილეობდა საბჭოს 4 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარის, დავით მჭედლიშვილის წარდგინებით სპორტული საბჭოს სხდომის მდივნად დასახელდა ვაჟა ლეჟავას კანდიდატურა.

სპორტული საბჭოს სხდომის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ვაჟა ლეჟავას "საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია"-ს სპორტული საბჭოს სხდომის მდივნად დანიშვნას.

დღის წესრიგი :

- 2020 წლის საქართველოს ჩემპიონატი დრიფტში მონაწილე მრბოლელების ლიცენზიების საკითხი;
- ა.(ა).ი.პ. „ბმვ კლუბ საქართველოს“, როგორც საქარველოს დრიფტის ჩემპიონატის ორგანიზატორის ვალდებულებები;

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 4



რათა სრულყოფილად და სწორად წარმოადგინონ ყველა დოკუმენტაცია, რაც განსაზღვრულია [სსსფ-ის ეროვნული ლიცენზიის გაცემის საერთო წესების](#) მიხედვით კონკრეტული კატეგორიის ლიცენზიისთვის და გამოაგზავნონ ელექტორნული განაცხადი სსსფ-ის [ვებ-გვერდის](#) მეშვეობით. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუუქმდეთ პირველ და მეორე ეტაპზე საქართველოს ჩემპიონატის ჩათვლაში მიღებული ქულები და გამარჯვებული გამოვლინდეს მხოლოდ იმ მრბოლელეს შორის, რომლებსაც გააჩნიათ მრბოლელის მოქმედი ეროვნული ლიცენზია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 4

(კენჭისყრაში მონაწილეობდა სპორტული საბჭოს 4 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**2) ა.ა).ი.პ. „ბმვ კლუბ საქართველოს“ როგორც საქართველოს დრიფტის ჩემპიონატის ორგანიზატორის ვალდებულებები;**

საკანონმდებლო კომისიის თავმჯდომარემ, ვაჟა ლეჟავამ სხდომის წევრებს წარუდგინა 2019 წლის 23 აგვისტოს, სპორტული საბჭოს სხდომის ოქმი #2019-03, რომლის მე-4 პუნქტში საუბარია ა(ა)იპ „ბმვ კლუბ საქართველოს“ მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების შესახებ, სადაც ერთ-ერთ პუნქტად მითითებულია, რომ ორგანიზატორს დაევალა არ დაუშვას საქართველოს დრიფტის ჩემპიონატში ის მონაწილეები, რომლებსაც არ გააჩნიათ მრბოლელის მოქმედი ეროვნული ლიცენზია, ასევე ამავე სხდომის ოქმით ა(ა)იპ „ბმვ კლუბ საქართველოს“ სხვა და სხვა სახის უხეში დარღვევებისთვის მიეცა მკაცრი საყვედური და დაეკისრა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით ფულადი ჯარიმის გადახდა 2019 წლის ბოლომდე. რაც არ შესრულებულა. მიუხედავად აღნიშნული გაფრთხილებისა, მიმდინარე წლის საქართველოს ჩემპიონატზე ორგანიზატორის მხრიდან არ ყოფილა მოთხოვნა მრბოლელების მიმართ, რომ მათ აუცილებლად უნდა ჰქონოდათ მრბოლელის ეროვნული ლიცენზია და ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლება მისცა ულიცენზიო მონაწილეებს. ზემოთ მოყვანილი არგუმენტებიდან გამომდინარე, ვაჟა ლეჟავამ დააყენა წინადადება რომ, თუ „2020 წლის საქართველოს ჩემპიონატზე დრიფტში“ მესამე, დასკვნით ეტაპზე, უგულვებელყოფილი იქნება მოთხოვნა არალიცენზირებული მონაწილეების არდაშვებასთან დაკავშირებით და საქართველოს ჩემპიონატში იასპარაზებს ერთი არალიცენზირებული მრბოლელიც კი, ა(ა)იპ „ბმვ კლუბ საქართველოს“ 2020 წლის სარბოლო სეზონის დასრულების შემდეგ აღარ მიეცეს საქართველოს ჩემპიონატის სტატუსის მქონე შეჯიბრებების ორგანიზატორობის უფლება.

სპორტულმა საბჭომ იმსჯელა ვაჟა ლეჟავას წინადადებაზე და ერთხმად დაადგინა: ა(ა)იპ „ბმვ კლუბ საქართველოს“ მიეცეს საბოლოო გაფრთხილება იმის შესახებ, რომ „2020 წლის საქართველოს ჩემპიონატზე დრიფტში“ მესამე, დასკვნით ეტაპზე არ დაუშვას მრბოლელის ეროვნული ლიცენზიის არ მქონე მრბოლელების მონაწილეობა. ასევე შეხსენების სახით გაეგზავნოს აღნიშნულ ორგანიზატორს სპორტული საბჭოს სხდომის ოქმი #2019-03 და განესაზღვროს ოქმით დადგენილი ჯარიმის გადახდის ვადად 2020 წლის 10 ნოემბერი. აღნიშნული პირობების არ შესრულების შემთხვევაში ჩამოერთვას უფლება იყოს 2021 წლის, საქართველოს ჩემპიონატის სტატუსის მქონე ნებისმიერი ტიპის შეჯიბრების ორანიზატორი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 4

(კენჭისყრაში მონაწილეობდა სპორტული საბჭოს 4 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხზე მსჯელობა დასრულდა. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: \_\_\_\_\_ დავით მჭედლიშვილი

სხდომის მდივანი: \_\_\_\_\_ ვაჟა ლეჟავა

სხდომის წევრი: \_\_\_\_\_ ლაშა ჭანტურია

სხდომის წევრი: \_\_\_\_\_ მერაბ სალუქვაძე